კინგსის ქართული ენის ოლიმპიადა - I ტური
მე-7 კლასი

სავარჯიშო I. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი: (60 ქულა)

1. ჩამოთვლილთაგან რომელია ბრუნებადი სიტყვა?
   ა) ათი ბ) თურმე გ) ვიშ!
2. ჩამოთვლილთაგან რომელია ბრუნებადი სიტყვა?
   ა) სვამს ბ) გაუღია გ) წერა
3. ჩამოთვლილთაგან რომელია სრული ფუძე?
   ა) ფანჯრის ბ) მზით გ) კაცად
4. ჩამოთვლილთაგან რომელია უსრული ფუძე?
   ა) ქარის ბ) გულმა გ) გზის
5. ჩამოთვლილთაგან რომელია კუმშვადი სახელი ?
   ა) მგელი ბ) ჯარი გ) მთა
6. ჩამოთვლილთაგან რომელია კვეცადი სახელი?
   ა) ხე ბ) უსიამოვნო გ) გულიანი
7. რომელ წინადადებაშია გამოყენებული უკუმშველი სახელი?
   ა) ,,პაპა უბნის კოლორიტი იყო.“
   ბ) ,,ბავშვთან ვინმეზე ლაპარაკი ეუხერხულა.“
   გ) ,,სამართლის მოყვარე ხელმწიფეს ერთს საწყალ კაცზედ ბევრი საჩივარი შემოდიოდა.“
8. რომელ წინადადებაშია გამოყენებული უკვეცელი სახელი?
   ა) ,,მზემ, თითქოს, თვალები განაბა და მერე გამიღიმა.“
   ბ) ,,უთო ცხელია, შვილო, ფრთხილად, ხელი არ დაიწვა!“
   გ) ,,უცებ დაიგრუხუნა, ცა სულ მთლად დაფარა შავმა ღრუბელმა.“
9. რომელ ფუძეშია „ო“-ს კუმშვა?
   ა) ნიორი ბ) ხბო გ) ობობა
10. რომელ ფუძეშია „ა“-ს კვეცა?
    ა) საზამთრო ბ) გალია გ) ნათია
11. რომელი სიტყვა გამოხატავს საგნის მდგომარეობას?
    ა) ხატავს ბ) იცინის გ) ყრია
12. რას ვუწოდებთ ზმნასთან შეწყობილ პირებს?
    ა) სუბიექტს ბ) ობიექტს გ) სუბიექტს, ობიექტს
13. რამდენპირიანია ზმნა „მიყიდა“?
    ა) ერთპირიანი ბ) ორპირიანი გ) სამპირიანი
14. რამდენპირიანია ზმნა „უყვარს“?
    ა) ერთპირიანი ბ) ორპირიანი გ) სამპირიანი
15. რომელ ბრუნვაშია წინადადებაში გამოყენებული ზმნის სუბიექტი? -
    „ ერთი დიდი შენობის წინ, გზის გადმოღმა ტოტებგაჯაჯღულ ხეს შევაფარე თავი.“
    ა) სახელობითში ბ) მოთხრობითში გ) მიცემითში
16. რომელ ბრუნვაშია წინადადებაში გამოყენებული ზმნის ობიექტი? –
    „ჭარმაგი კაცი სახლების ჩრდილებს მიჰყვება.“
    ა) სახელობითში ბ) მოთხრობითში გ) მიცემითში
17. რომელ წინადადებაშია რიცხვში მონაცვლე ზმნა?
    ა) ,,წეღან ქალაქის შემოსასვლელში წყალი დავლიე, რაღაცა ხმიადიც მქონდა, სული ჩავიბრუნე.“
    ბ) ,,მტრედებიც დავაპურე და ახლა გრილოში რომ ფეხი მოვირთხი, ჩამთვლიმა კიდეც.“
    გ) ირმები გულგახეთქილები გამოცვივდნენ ტყიდან.

18. რომელ წინადადებაშია რიცხვში მონაცვლე ზმნა?
ა) ,,კვირაში ერთხელ არწივი ჩამოიფრენდა ხეობაში, მიდამოს თვალს გადაავლებდა.”
ბ) ,,დაღვრემილები ისხდნენ... ელოდნენ როდის მოვიდოდა ქედანი.“
გ) ,,დღითიდღე იცრიცებოდა, იძარცვებოდა შემოდგომა.“
19. რომელ წინადადებაშია ზმნა მართებულად გამოყენებული?
ა) ,,დღეები თანდათან მსუბუქდებოდა, გამსუბუქებული დედამიწა თითქოს ზეცისკენ მიწევდა.“
ბ),,შეშინდებოდა ზამთარს, დანაწილდებოდა ნაკადულებად, ზვავებად და გარბოდა, მიწაში იმალებოდა.“
გ) ,,ეს ფიფქები სიხარულს სულაც არ გვგვრის!“
20. რომელ წინადადებაშია გამოყენებული მიმართვა?
ა) ,,შემთხვევით ხელი გაუშვა ლამპარს და, ჰოი, ლამპრიდან ამოიზარდა ჯინი!“
ბ) ,, დიდებულო ხელმწიფევ, თქვენი სამართლიანობა საქვეყნოდაა ცნობილი.“
გ) ,,აქ ჩემი შიშით გოლიათებს ვერ გაუვლიათ და შენ ვინ ხარო.“

სავარჯიშო II. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი: (30 ქულა)

21. მოცემულთაგან რომელია ზმნიზედა?
ა) კარგად ბ) მოხდენილი გ) გულიანი
22. რომელ ჯგუფს განეკუთვნება ზმნიზედა წინადადებაში:
„ამ დროს მამალმაც დაიყვირა: „პეტრემ - უარყოო!.“
ა) ადგილის ბ) დროის გ) ვითარების
23. რომელ ჯგუფს განეკუთვნება ზმნიზედა წინადადებაში:
„აქ, დიახ, აქ, არწივები დასტრიალებენ თავზე თავის მშობელს, .“
ა) ადგილის ბ) დროის გ) მიზეზის
24. რომელ ჯგუფს განეკუთვნება ხაზგასმული სიტყვა წინადადებაში:
„მიყვარხარ და <u>ამად</u> ვდარდობ, მინდა კარგად მყავდე.“
ა) ადგილის ბ) ვითარების გ) მიზნის
25. რომელ ჯგუფს განეკუთვნება ზმნიზედა წინადადებაში:
„განუწყვეტლივ ლოცულობდა თეთრწვერა თორნიკე სამშობლოზე.“
ა) ვითარების ბ) მიზნის გ) მიზეზის
26. რომელი ჯგუფის ნაცვალსახელია გამოყენებული წინადადებაში:
„ჩემს დას უყვარს ეგ წიგნი, გთხოვთ, მომაწოდეთ.“
ა) კუთვნილებითი ბ) კითხვითი გ) კითხვით-კუთვნილებითი
27. რომელი ჯგუფის ნაცვალსახელია გამოყენებული წინადადებაში:
„ეს კლდე მთელი მთაა კლდედ, ქვად გადაქცეული, პირისპირ ცისა, მზისა და დაბლა ქვეყნისა!“
ა) ჩვენებითი ბ) კუთვნილებითი გ) პირის
28. რომელი ჯგუფის ნაცვალსახელია გამოყენებული წინადადებაში:
„ვინ მოვიდა?_ გასძახა ბაჩანამ ბებოს.“
ა) ჩვენებითი ბ) პირის გ) კითხვითი
29. რომელი ჯგუფის ნაცვალსახელია გამოყენებული წინადადებაში:
„კაცმა რომ თქვას, არც კი გიცნობთ.“
ა) ჩვენებითი ბ) განუსაზღვრელობითი გ) კუთვნილებითი
30. რომელი ჯგუფის ნაცვალსახელია გამოყენებული წინადადებაში:
„კლდე ღამღამობით სტირის, რომ არავინა ნახოს და არ დაჰგმოს, ცის ტირილზე მეტია იმის ტირილი.“
ა) კითხვითი ბ) განსაზღვრებითი გ) უარყოფითი

სავარჯიშო III. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი: (10 ქულა)

31. რომელი მხატვრული ხერხია გამოყენებული შემდეგ წინადადებაში:
,,საღამოს პირას უსკდებოდათ პაწია გულები, გადატრიალდებოდნენ ჰაერში და ფრთაგაშლილნი მოექანებოდნენ მიწისკენ გულაღმა, თითქოს ეთხოვებოდნენ ცას, მზეს და მოძმეებს...“
ა) ეპითეტი ბ) მეტაფორა გ) ჰიპერბოლა
32. შემოხაზეთ სტრიქონიდან სტრიქონზე გადასატანად სწორად დამარცვლილი სიტყვა:
ა) ჩაუ-ქროლეს ბ) აღ-მოჩნდა გ) ეღვ-რებოდა
33. ,,სახტად დარჩა“ ანუ
ა) გაოცდა ბ) სახსარი ატკივდა გ) გაიღიმა
34. ჩამოთვლილთაგან რომელია ანდაზა?
ა) ,,კარგი ცხენი მათრახს არ დაირტყამსო.“
ბ) ,,გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი.“
გ) ,,ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია.“
35. სიტყვაში ,,ღიმილიანი“ *-იან* არის
ა) ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმის მაწარმოებელი სუფიქსი.
ბ) ქონა-ყოლის მაწარმოებელი სუფიქსი.
გ) თანდებული.